

# მშენებელი

ფასი 1 მანეთი

გაზეთი ღირს: 1 თეთი 25 კაპიკი. ნომერი ყველგან 1 მანეთი. სი როგორც პირველ გვერდში შეტყობის შეტყობის სტრიქონი—3 მან. სამცხლელოვანო განცხადება 40 მანეთი. ნინო განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16-62.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი

კვირა, 31 აგვისტო

## პროლეტარული

კვირა, 31 აგვისტო

# შრომის დღეა

დღეს ფაბრიკები, ქარხნები, სახელმწიფო და წარმოებები მუშაობენ. ამხანაგო მუშებო! მოემზადეთ პროლეტარული ფრონტის დღისათვის. დაინახონ ხალხის მტრებმა, რომ თფილისის პროლეტარიატი ერთგულად დარაჯობს რევოლუციის და სახალხო გვარდიისა და ჯართან ერთად იბრძოლებს მის საბოლოოდ გამარჯვებისათვის. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა ხაბტო

დღეიდან სამუდამოთ გულდათუთქული დედ-მამა ეფრემ ვასილის ძე ლომთაძე და სალომე მაქსიმეს ასული ქელიძე-ლომთაძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ყველა მეგობრებს, რომ მათ ავტომობილმა გაუსრისა ერთათ-ერთი შვილი, თფილისის მერვე გიმნაზიელი, მერვე კლასის მოწაფე  
**პარლავ პურაიის ძე ლომთაძე.**  
გამოსვენება კვირას, 31 მარტამობისთვის, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან (ნაძალადევი, ბრიგადირის ქ., № 6).

აქციონერული საზოგადოება „ქაზური ღვინო“ აცხადებს აქციონერთა, ნათესავთა და ნაცნობთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 31 აგვისტოს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში 1 საათზე დანიშნულია ორმოცის პანაშვიდი განსვენებული ამხანაგის  
**სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყალის**  
სულის მოსახსენებლად, რომელიც ვერაგულად დაიღუპა ყაჩაღების ხელით ქ. ნოეოროსისკში. პანაშვიდი გადასდეს იქნება აგრეთვე გურჯაანში.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული მეხუზლასი, ქალიშვილი ნინა იასეს ასული ქმრით შალვა ნაყაშიძეთი შვილებით, ძმა ალექსი მეხუზლა მეუღლით და შვილებით, დაი მართა ჯაყელისა მეუღლით და შვილებით, რძლები: ზაფითო და პელაგი, ძმისწულები მელიტონ, მეუღლით და შვილებით, პორფირე ცოლშვილით, ყარამან ცოლშვილით და სამსონ მეხუზლასი, ძმისწული ვასასი სურგულაძისა მეუღლით დიომიდეთი და შვილით, ცოლის და კატო თავართქილაძისა მეუღლით კონსტანტინეთი და შვილით კორნელიათი აცხადებენ ნათესავთა და მეგობართა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, 2 ნენენისთვის, სოფ. პატარა-ბაილეთის წმ. გიორგის ეკლესიაში (გურია, გურიანთის საზ.) გადახდელ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუფიცვარის ძვირფასის ბელეტრისტის  
**იასე რაჭველის (მეხუზლას)**  
სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქეთევანი თეოდორის ასული, შვილები: გიორგი და კონსტანტინე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა რომ 29 აგვისტოს მცირე ხნის ავთამყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი  
**აკიმი აკვთივა სიმონის ძე ჯაყალი.**  
პანაშვიდი და გამოსვენება მოხდება 31 აგვის. დილის 12 საათს. რკინის გზის საავათმყოფოდან სადგურზედ სოფელ დიდი ჯიხაიში წასასვენებლად.

ს. ხაშის ახალგაზრდობის დრამატული წრე აუწყებს ამხანაგებს, რომ 29 აგვისტოს, ს. ხაშზედ ხან მოკლე ავთამყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე წრის დაუღალავი, გულწრფელი თანამშრომელი და ძვირფასი ამხანაგი, თფ. პირველ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე  
**ვანო შიოკოვის ძე ნახუსრიშვილი**  
დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 2 ნენენისთვის (ახ. სტ.) ს. ხაშშივე.

### ფრონტისთვის

ფრონტზე დგას საუკეთესო ძალა საქართველოს დემოკრატიის. ფრონტს ემსახურება რევოლუციური ენერჯია შეგნებული მუშათა კლასის. ემსახურება იმიტომ, რომ ჩვენი ფრონტი რევოლუციის საფარია, შევრეაქციის ტალღის ზღუდეთ ამართული, რომ ბნელი დღეების განცდა ააცილოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. აქ ზურგში კი მუშათა კლასი ასეთივე სიმტკიცით, ასეთივე სიძლიერით და ენერჯიით ემზადება მათთვის მხარის დასაქერათ.

რევოლუციის ალში გამორთობილი მებრძოლნი,—დგანან იქაც და აქაც. მაგრამ განა ეს გასაკვირველია? მუშათა კლასი იცავს თავის ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს, იცავს რევოლუციის ტკბილ ნაყოფს—თავისუფლებას, დემოკრატიულ წყობილებას, ამ უფებარ გზას, შრომის სამეფოსკენ მიმავალს. და აღსანიშნავია ის ერთსულოვნება, რომელსაც მშრომელთა მარჯვენა იჩენს ამ შემთხვევაში.  
აღსანიშნავია იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ დროს ბევრი აზრთა არეულობის შემტანი ელემენტები გაუზნდა მუშათა კლასს ქირისუფლად და მჭადგებელად.

ბალშევიკები, რომელთაც სისხლიდან დასცალეს რუსეთი, მათი ამყოლი გზა დაბნეული ზურაბოვების ჯგუფები, რუსული იმპერიალიზმით გაქვინებული ჩინოვნიკების იდეოლოგები და სხვ. ყველანი თვეობით ჩასჩინებულ დენ ჩვენს მუშათა კლასს საქართველოს უარყოფას, მისი ფრონტის ბალშევიკურ ფრონტთ გადაქცევას, ჩასჩინებულენ ჯარს და გვარდიის ბალშევიკურ ექსპერიმენტისაკენ.

ზოგნი მათგანი პირდაპირ და აშკარა დეზორგანიზაციის შესატანათ მოქმედებდნენ ჯარსა და გვარდიაში, ცდილობდნენ მუშათა მასებში ანარქისტულ მიდრეკელებების შექმნას და დემოკრატიულ წყობილების შექცეულბას.

მაგრამ ამათ. საღი ინსტიქტი მუშათა კლასისა გრძობს დენიკინის საფრთხეს უფრო რეალურად, და ამ არამკითხე მოციქულთა დაუფლებელ ლაღას უყურადღებოთ სტოვებს. დღეს იგი ქმნის ერთ მთლიან რევოლუციურ დემოკრატიულ ფრონტს, დღეს იგი იმსკვალება ერთი აზრით— და ესაა აზრი რევოლუციის დაცვისა. თავის კლასობრივ ინტერესების სრულ შეგნებით სდგას იგი დემოკრატიზმის შეურყვეველ დარაჯათ და ამით საუკეთესო იმედს იძლევა, რომ პატარა დემოკრატია საქართველოს მტერს არ გაექვლინება. რევოლუცია იცოცლებს ქართველ ერში თავის შედეგებით, თავის ნაყოფიერებით, ცხოვრების განახლებით, ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებით. ფრონტის გმირები დაიცვენ მას გარეშე შემოსულ ყვავყორნებისაგან. შინ მუშათა კლასის რევოლუციური შეგნება აუგებს მას შესაფერტადარს, რომელიც სოციალიზმის ბრწყინვალე მომავლის წინამორბედათ გადაიქცევა.

დღეს ფრონტის დღეა და იმავე დროს დღე მუშათა კლასის შეგნებული გაერთიანებისა გარეშე და შინაურ საფრთხის წინაშე. ანარქია და რეაქცია დღეს ძლეულია მუშათა შეგნებული საქმიანობით, მათი რევოლუციური მთლიანობით, მათი მარქსისტული, სწორი ნაყადი გზით სიარულით და ჩვენ ამ ორმაგ გამარჯვებას ვულოცავთ მუშათა კლასს.

### პარტიული მუშაობა

მეორე წერილში ჩვენ აღნიშნეთ ყველა ის საკითხები, რომლების გარკვევა და ფართე მასისთვის გაცნობა ჩვენმა ორგანიზაციებმა უპირველეს მიზნათ უნდა დისახონ. ასეთი მუშაობა მოითხოვს საკმაოთ მომზადებულ პირებს. სახელმწიფოებრივმა მუშაობამ პარტიას ბევრი საუკეთესო პირები გამოსტაცა და სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩააბა. ეს მუშაობა კი იმდენ შრომას და ენერჯიას ითხოვს, რომ რაც უნდა ძლიერი იყოს სურვილი, ფაქტიურათ მაინც შეუძლებელი გახდა პარტიულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ამის შედეგი იყო პარტიაში პროფესიონალური მუშათა რიცხვის საგრძნობლათ შემცირება. სხვა პირობებში პარტიას შეეძლო სარბიელზე ახალი ძალების გამოყვანა და მისი მუშაობაში ჩაბმა, მარა რევოლუციონერმა შაძრაობამ იმდენი ახალი კითხვები წამოაყენა, რომ მის ცხოვრებაში გატაკებისათვის საჭირო გახდა ყველა ძალების დაქსაქსვა სხვადასხვა ორგანიზებში. ახლა პირობები შეიცვალა. ის საკმეები, რომელიც პარტიას ძალა-უნებურათ უნდა ეკეთებოდა, გადაეცა სათანადო ორგანიზებს. შესაძლებელი შეიქნა პარტიის მომწველი და აქტიური, ზოგიერთი პირების მაინც, პარტიაში დაბრუნება და ასე იმ კადრის შეგება, რომელმაც უნდა იკისროს ჩვენ მიერ ჩამოთვლილი საკითხების ხალხისათვის გარკვევა. მარა ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა როგორც ცენტრმა, ისე მსხვილმა პერიფერიებმა ურთიერთ შეთანხმებით შექმნან ჯგუფი ამხანაგებისა, რომლებიც სისტემატურათ ეწვევიან იმ ადგილებს, სადაც ასეთი პირები ან სულ არაა, ან და მეტად მცირეა. ძალთა განაწილება ფრთხილ მნიშვნელოვანია და ამის მოწესრიგება უნდა იკისრონ ადგილობრივ სამაზრო კონფერენციებმა. ასეთი კონფერენციების მოწვევა, რომელიც ყველა ჩვენ მიერ აღძრულ საკითხების შესახებ შეასაკრო საუკლებულად დადგენილებას გამოიტანს, ხელმძღვანელ ორგანიზაციებისათვის ფრთხილ საშუაოა.

ბები შეიცვალა. ის საკმეები, რომელიც პარტიას ძალა-უნებურათ უნდა ეკეთებოდა, გადაეცა სათანადო ორგანიზებს. შესაძლებელი შეიქნა პარტიის მომწველი და აქტიური, ზოგიერთი პირების მაინც, პარტიაში დაბრუნება და ასე იმ კადრის შეგება, რომელმაც უნდა იკისროს ჩვენ მიერ ჩამოთვლილი საკითხების ხალხისათვის გარკვევა. მარა ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა როგორც ცენტრმა, ისე მსხვილმა პერიფერიებმა ურთიერთ შეთანხმებით შექმნან ჯგუფი ამხანაგებისა, რომლებიც სისტემატურათ ეწვევიან იმ ადგილებს, სადაც ასეთი პირები ან სულ არაა, ან და მეტად მცირეა. ძალთა განაწილება ფრთხილ მნიშვნელოვანია და ამის მოწესრიგება უნდა იკისრონ ადგილობრივ სამაზრო კონფერენციებმა. ასეთი კონფერენციების მოწვევა, რომელიც ყველა ჩვენ მიერ აღძრულ საკითხების შესახებ შეასაკრო საუკლებულად დადგენილებას გამოიტანს, ხელმძღვანელ ორგანიზაციებისათვის ფრთხილ საშუაოა.

დიდი ხანია ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს პარტიული სკოლის დაარსებას. დროა ეს განზრახვა ცენ. კომიტეტმა სისრულეში მოიყვანოს და მით პროვინციის ორგანიზაციებს მუშაობები მასცენ მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თავის საკუთარი ძალებით უნდა აწარმოონ ასეთი მუშაობა, ხოლო სადაც ასეთი ძალები არ არის—სხვა ადგილებიდან მოწვეული ამხანაგების საშუალებით დღესვე შეუდგენ პარტიული მუშაობის დაწყებას.

დრო გადადებას არ ითმენს, დაყოვნება დიდ საფრთხეს გვიქადის და ჩვენ ერთბელ კიდევ ვეძახით ყველა ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს და მოწინავე მუშების დაყოვნებლივ შეუდგენ თავის მძიმე მოვალეობას...  
განი.

P. S. გუშინდელი ჩვენი წერილი შემთხვევით ხელმოუწერილი დააჩა.  
გ.

### ინგლის-სპარსეთის შთაბეჭება

სპარსულ გაზეთ „რაად“-ში მოთავსებული ინგლის-სპარსეთის შორის დადებული ხელშეკრულება:  
„იღებთ რა მხედველობაში საუუნოვან კავშირს და მეგობრობას, რომელიც დამყარებულია ორ მეზობელ ქვეყნის შორის, და მიზანს მომავალში კეთილ მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა სპარსეთის სახელმწიფოს განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, სპარსეთის მთავრობამ და ინგლისის ელჩმა სპარსეთში დავდეთ შემდეგი ხელშეკრულება, შემდგარი 6 მუხლისაგან და მივიღეთ სავალდებულოდ აღსრულება მისი. 1) ინგლისის მთავრობა აახლებს ყველა ვალდებულებათ, რომელიც მან მიიღო თავზე სპარსეთის იმპერიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიულ ხელშეკრულების დასაცავად. 2) ინგლისის მთავრობა, ორივე მხარის შეთანხმებით, აძლევს სპარსეთს ამ უკანასკნელის ხარჯზე აუცილებელ რიცხვს სხვადასხვა დარგების სპეციალისტებისა სხვადასხვა დაწესებულებებში სასამსახუროდ; ამათ იწვევს სპარსეთის მთავრობა საჭირო პირობების დამხედვით და აძლევს მათ უფლებებს და ლგოტებს თანახმად მათი სპეციალობისა და თანამდებობისა. ხარისხი და ძალა ზომებულ უფლებებისა განისაზღვრება“

ინგლისის ჯარის დასახარებლად სომხეთში მოხალდებულთა საფრანგეთის ჯარის გავაზრდა.

შეერთებული შტატების სენატის იურიდიულმა კომისიამ დადგინდა მიიღოს, რომლის ძალითაც ამერიკამ საფრანგეთს დახმარება უნდა გაუწიოს, თუ მას გერმანია თავს დაესხმის.

ბალშევიკების ცნობით, პარიზის წრეებს მალე აღელვებს ინგლისისა და საფრანგეთის გათიშვა.

საზავო კონფერენციამ ერთი ნოტი კიდევ გააფრთხილა რუმინთა უნგრეთის საკითხში.

გერმანიის ახალშენები აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისს გადაეცემა.

ბა შეთანხმებით ორივე მთავრობასა და მოსაწვევ სპეციალისტების შორის.

3) ინგლისის მთავრობა აძლევს სპარსეთის მთავრობას აუცილებელ რაოდენობას ინსტრუქტორებისა, მოხელეებისა, ამუნიციის და სხვა სამხედრო მოწყობილობას უკანასკნელი სისტემის, თავის საზღვრების დაცვის მოსაწყობად და აგრეთვე ქვეყანაში წესრიგისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად რაოდენობას ინსტრუქტორებისა და აუცილებელი საჭირო სამხედრო მასალისა განსაზღვრავს ორივე მხარის მიერ არჩეული კომისია, საცა შედის ინგლისის სპეციალისტები.

4) მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულ რეფორმების განსახორციელებლად ინგლისის მთავრობა ვალდებული იქნება სპარსეთის მთავრობის განკარგულებაში გაიღოს აუცილებელი საჭიროების კრედიტი ან და რეალიზაცია უყოს მის ვალდებულებათ. ეს კრედიტი უზრუნველყოფილია საბაჟო გადასახდთა შემოსავლით ან და სპარსეთის მთავრობის ხელში მყოფი შემოსავლის სხვა წყაროებით. თუ მოლაპარაკება ამის გამო გაგრძელდა, ინგლისის მთავრობა საბაჟოთ აძლევს საჭირო თანხას, სესხის აღებისა და დამტკიცებამდე.

5) ქვეყნის სიმშლიისა და პირველ მოთხოვნის საგნების ნაკლებობისაგან დახსნის მიზნით, აგრეთვე საავიჯო ოპერაციების განსავითარებლად, ინგლისის მთავრობა ყველა ზომებს ხმარობს, რომ მოაწესრიგოს გადასახდითი საშუალებანი და სპარსეთის მთავრობასთან ერთად იწყებს რკინის და შარავნების გაკეთებას და ამით იზრუნებს საქონლის გადაზიდვის ყველა ნაკლს ქვეყნის ყველა ნაწილებში. განზრახულ მიზნების სისრულეში მოსაყვანად და ორთავე მხარისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ გეგმების შესადგენად, ერთ მიმართავენ სპეციალისტებს და იწყებენ მათ განსაზღვრულ პირობებზე, რომელთაც მხარეები იწონებენ. 6) ქვეყნის სასარგებლოდ საბაჟო მმართველობათა მოქმედების გასაფართოებლად და ოპერაციების გასანვთარებლად მათი დათვალისთვის და მათზე კანტროლის დაწესებით ირჩევა სპეციალური კომისია, რომელიც შეესაბამება ორივე მთავრობების სპეციალისტებისაგან, ეს კომისია გადათვალისწინებს ყველა საქმეებს ეხლა არსებულ საბაჟოებისა და აარსებს სხვა ამგვარ მართველობას იმპერიის სხვადასხვა ადგილებში.

### საპარტიკალო გარეგანი

პაპი ბენედიქტ XV საქართველოს შესახებ. კონსტანტინეპოლში მყოფმა პაპის ნუნციომ (ელჩმა) წერილობით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის იქაურ წარმომადგენელს, სადაც ის, გამოსთქვამს რა პაპის სახელით მუშაობას საქართველოს კათალიკოსის კირიონ II-ის გარდაცვალების გამო, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „მე ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მისი უწმინდესობა პაპი თანაუგრძნობს თქვენი სამშობლოს საქმეს და მის მომავალს. ის გააკეთებს ყველაფერს, რასაც ნებას მისცემს მას ღვთის განგებამ, რომ კეთილშობილმა ქართველმა ხალხმა, რისთვისაც ის მოუწოდებს მის ზეციურ კურთხევისათვის, განახორციელოს მთლიანად თავისი კანონიერი სამოქალაქო და რელიგიური სურვილები.“ (ლა რეფორმა, 5 აგვისტო)

### გეგმები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 30 აგვისტო. ინგლისის პრემიერ-მინისტრი. საზავო კონფერენცია აპირებს გერმანიის ყველა ახალშენები აღმოსავლეთ აფრიკაში

ინგლისის ვადანტის მადლობის სახით ინგლისი ბელგიის უთმობს აფრიკის ახალშენების უნაყოფიერეს ადგილს 3 მილიონი მცხოვრებით.

მიუხედავად ბალშევიკების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებთან (?), ლონდონის გაყვანილი პირთა სიტყვით, რუსეთში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია ბალშევიკების მოწინააღმდეგეთათვის. ბალშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება გრძელდება და უკანასკნელ კვირებში გაძლიერდა კიდევაც. ინტელის ფორტზე წინსვლა შეჩერებულია პსკოვის სამხრეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან შემოტევის გამო. პოლონელების მარტენა ფრთა დინსკისკენ წინ მიიწევა.

ბალშევიკები იძულებული არიან მდ. დვინის ნაპირისკენ უკან დაიხიონ პოლოცის ახლო. ამჟამად დვინის სამხრეთით ბალშევიკების წინ წამოწყულ ფრონტს საფრთხე მოელოს. ალბად ბალშევიკები იძულებული იქნებიან უკან დაიხიონ დვინის ჩრდილოეთის ნაპირის მიუღ ფრონტზე. ოდესის ბედი აგვ. 24 ვადანტის. ის ბალშევიკებს დატოვებინებს. სწორედ აგრეთვე, შავი ზღვის მთელი სანაპიროც ბალშევიკების მოწინააღმდეგე ძალთა ხელშია. საბჭოთა მთავრობამ დაკარგა დასავლეთიდან აღვილი შავ ზღვაზე და ამასთანავე ქვეყნიერობასთან ურთიერთობის საშუალებაც. დენიკინის ცხენოსანი ჯარი და ჯავშნიანი მატარებელი მიუღ დასავლეთის ფრონტზე დიდ მანძილზე წინ მიიწევა. მის მთავარ ძალებს წინ არა ხვდება რაეითარი წინააღმდეგობა და არც ბალშევიკების რეგულარული ჯარი.

### საზავო კონფერენცია

ზელვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ესაუბრა კლემანსოსა და პიშონს, ამ საუბრის შედეგად უკარ არ არის არაერთი ოფიციალური ცნობა. უიკრობენ, რომ საუბარი შეეხებოდა ეკონომიურ პრიბლემებს და ლიუქსენბურგის საკითხს, რომლისადაც ძალიან არის დაინტერესებული როგორც საფრანგეთი, ისე ბელგია. ორივე სახელმწიფო ცდილობს საკითხი მალე გადაწყდეს და საბუთი გვაქვს ვიქონიოთ იმედი, რომ შეთანხმება მალე მოხდება.

თბილისის დეპუტატთა პალატა განაგრძობდა საზავო ხელშეკრულების განხილვას. გერმანიის საზღვრების და პოლიტიკურ პირობების შესახებ მომხსენებელმა შარლ ბენუამ განაცხადა, რომ ვერსალის მეორე ხელშეკრულებამ პირველი გააბათილა, რადგანაც საფრანგეთმა დაიბრუნა ელზას-ლორენი, რომელიც ძალით მოგლიჯეს საფრანგეთს. მაგრამ ეს ხელშეკრულება უნაკლო არ არის და შეიძლება მისი კრიტიკა თავის თავად.

დავნიტონიდან იწყებია, რომ გილსონთან საუბრის შემდეგ სენატორმა გიმიმ განაცხადა, რომ მისი აზრით საზავო ხელშეკრულების დამტკიცება და აგრეთვე შანდუნის და ნანტურების საკითხების განხილვა ოქტომბერში მოხდება.

### საღმრთაობის ცნობები

შოხთვი, ლიონი, აგვ. 28. (ამერიკული რადიო) უნგ რეთში მოკავშირეთა საქციელით გამოწვეული აღშფოთება იქამდე მივიდა, რომ კონფერენციამ ერთი ნოტიო კიდევ გააფრთხილა რუმინთა. სერბიაში შექმნილი მდგომარეობაც აფიქრებს ვილსონს. აღმოსავლეთ ფრაკის, ადრიატიკის ზღვის და სირიის საკითხი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მოკავშირეებთან დამოკიდებულება ყოველდღე მწვავედება. საზავო კონფერენცია თან და თან ვარგებს ძალას. პარიზის წრეებს ძალიან აღელვებს ინგლისის და საფრანგეთის გათიშვა, რომელიც თან და თან ძლიერდება.

ლიონი, აგვ. 28. პიანის საგარეო ფაშინგტონიდან დეპუტეტი აუწყებენ, რომ სენატის იურიდიულმა კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც შეერთებული შტატებმა საფრანგეთს დახმარება უნდა გაუწიოს, თუ მას გერმანია დაეცა. ნაუნეი, აგვ. 28. პიანტურგში ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა ყრილობამ დაადგინა ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს მოთხოვნები წარუდგინოს ჯამაგირის მომარტების, ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა სახელმწიფო სამსახურში მყოფი აღიარების და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოსთან დემოკრატია საბჭოს მოწვევის შესახებ. ლიონი, აგვ. 28. „პრეტურნალ“-ის სიტყვით შესაძლებელია, რომ შუა აზიაში მყოფი საფრანგეთის ჯარი სომხეთში გაიგზავნა ინგლისის ჯარის დასახმარებლად წესრიგის დაცვაში. ნაუნეი, აგვ. 28. კონენკენის ნავთსადგურის გაფიცულ მუშების საპასუხოთ დამქირებულთა კავშირმა განაცხადა, რომ თუ მუშაობა 4 ექვინს. არ დაიწყება, ყველა სატრანსპორტო მუშებს ლოკაუტს გამოუცხადებენ.

### ოლივიერ უორდროვის ჩამოსვლა თფილისში.

გუშინ, აგვისტოს 30-ს, დღის 10 საათზე ბათუმიდან საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა ბრუანეთის უმოლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში ბ-ნი ოლივიერ უორდროვი. სადგურზე ბ. უორდროვს შეხვდნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გვეგეჯორი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. ბ. საბახტარაშვილი, მიწათმოქმედების და გზათა მინისტრი ნ. გ. ხომერტიკი, ვახთა დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ჭიჭინაძე, თფილისის ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, და ქართული კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ამთ გარდა კომისარს შეხვდნენ: ინგლისის მისია გენერალ კორის მეთაურობით, იტალიის მისია—პოლკ. ვაბბას მეთაურობით, საფრანგეთის მისია პოლკ. შარდინის მეთაურობით, აგრეთვე სომხეთის, აზერბეიჯანის, პოლონეთის და უკრაინის მისიათა წარმომადგენლები. სადგურის ბაქანზე იდგა ქართული ჯარის საპატიო ყარაული ორკესტრით. სადგური და ქუჩები ეროვნულ ბიარალებით და ნობებით იყო მორთული. სადგურის გამოსავლთან იდგა ორი მხრით ქართველ-ინგლისელთა ჯარის ნაწილები ორკესტრით. ბ-ნი უორდროვს ვაგონში მიესალმა მთავრობის სახელით ე. პ. გვეგეჯორი და ვაცნო მას ქართულ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლები. ბ-ნი უორდროვმა მთ შორის იცნო თავისი ძველი ნაცნობები, სხვათა შორის ვრ დიასამიძე, შემდეგ ბ-ნი უორდროვი მიესალმა გენერალ კორის და მიიღო მოხსენება ბაქანზე გამოწვევებული ქართული ყარაულის უფროსისაგან, მოიწონა ჯარისკაცთა დარბაზობა და სიამოვნება გამოსთქვა ქართული ჯარის ასე რიგაინათ მოწყობისათვის. შემდეგ ბ-ნი უორდროვი მიესალმა ყველა მისიათა წარმომადგენლებს და ე. პ. გვეგეჯორთან ერთად ავტომობილით წავიდა სადგურიდან. ბ-ნი უორდროვთან ჩამოსულ მისიის ორი წევრი ჯ. ჭაჭი და ტ. მიდიგანგრუნი ჩაუსხდნენ კ. საბახტარაშვილს ავტომობილში. მისიის წევრები 12 ავტომობილში მიაცილა გენერალ კორის ბინასთან. ბ-ნი უორდროვმა ე. გვეგეჯორს მადლობა გადაუხადა ასეთ სადღესასწაულო შეხვედრისათვის. გზაზე აუარებული ხალხი იყო თავმოყრილი და ქალები უორდროვის ავტომობილს ყვავილებს ესროდნენ.

### ახალი აზგუბი

ორშაბათს, პირველ ენკენისთვის, ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე, შესდგება საქ. სოც. დემ. პ. ს. საკონტროლო კომისიის სხდომა.

სამეზობლო ლტოლვილები. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში, დეპუტეტი ატყობინებს ბაქოში სომხეთა ეროვნულ საბჭოს, რომ მან შეაჩეროს ბაქოდან საქართველოში ლტოლვილთა გამოგზავნა, სანამ სომხეთისაკენ გზები გაიხსნებოდეს.

ქალაქის გაგვირგობის სასურხათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1 სექტემბრიდან დაიწყება სასურხათო კომიტეტების მიერ ახალი სასურხათო ბარათების დარიგება 1919 წ. მეორე სერიისა. ამ ბარათებით მშენი დაიწყება ბაქოში მისიის (8 წლით) შეკრის ფუნქციონირება საბჭოს (2 გორი ვანქის, გორვანქა 12 მ. 50 კ., ხოლო სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაურიგდება შაქარი ქალაქის რეზერვით.

თფილისის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეები სალამს უძღვნიან რევოლუციისა და თავისუფლების დამცველ ფრონტზე მყოფ გვარდიასა და ჯარს და აღუთქვამენ მხარის დაქვერას მთ დიად ბრძოლაში.

ხალხი ფრონტს. საქართველოს თავისუფლების დამცველნი! სალამს გიგზავნით სასაკლავოს მუშა-მოსამსახურეები განურჩევლათ მიმართულებისა და გისურვებთ გამარჯვებას, თავისუფლების დაცვას ჩვენთან ერთად სოციალისტების სამეფომდე. კრების მოხლომ. პ. ბოკერია.

სომხეთის მწერლის დახვეწა. ვაზ. „აშხატაკორი“-ს ცნობით ნოვოროკასკში ვაზა ხებს დახვეწილობით სომხეთა ახალგაზრდა მწერალი ა. კოჭინიანი.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცხადებს, რომ სამინისტროში სხვადასხვა პირების სახელზე საზღვარ გარეთიდან მიღებულია წერილები. მიღება შეიძლება სამინისტროში.

ახალი გაზეთი. ხვალ იან პ. დადვადის რედაქტორობით გამოვა ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ყრილობათა საბჭოს ორგანო—„ახალი საქმე“. გაზეთი კვირეული იქნება. მონაწილეობას მიიღებს პროფ. ს. ავალიანი.

ბორჩალოს მახრის კომისარად დაინიშნა მეხუთე უბნის კომისარი მირზაშვილი.

ქურდობა. 29 აგვისტოს ნივთიულის საინტენტო საწყობიდან მოიპარეს იპო-ნური „პალატები“ „ქვეყნული“ და „ქვეყნული“ მონარული ნივთების, გერმანული, მორკვეული. ქურდობა ჩალოცამ უკვე შემაბრო. ორი მითვანი ნახეს დამალული საწყობში. გამოიყება გრძელდება.

კ რ მ ბ მ ბ მ. ორშაბათს, 1 სექტემბერს, სალამს 5 ს. დანიშნულია ავღარის გვარდიის შტაბში აშხ. ათაბეგოვ-ტუმანიის მოხსენება. თემა: საბჭოთა რუსეთი, მოხალისეთა ჯარი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

### პროვასიონალურ კავშირების საზოგადოება

29 აგვისტოს შესდგა სხდომა პროვასიონალურ კავშირების საბჭოს სალიონოვილის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან ფრონტის „პროლეტარული დღის“ მოწყობის შესახებ. 2) მოხსენება ფრონტის „პროლეტარული დღის“ მოწყობი კომისიისა. 3) მუშათა კლუბის სასადილოს კერძო პირის ხელში გადაცემა. 4) მოხსენება შრომის ბირჯის ნახევარი წლის მოქმედების შესახებ. 5) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე გამოიკვია, რომ ყველა კავშირებში გახურებული მუშაობა ამ დღის დიდებულათ ჩასატარებლათ, მხოლოდ ერთი კავშირი „პროლეტარის ნემსი“, რომელმაც დაადგინა გამგეობის კრებაზე, არ მიიღოს მონაწილეობა; მხოლოდ დაახლოვებით ამ კავშირის ნახევარმა წევრებმა (კალკე კრებაზე გამოიტანეს დადგენილება იმუშაონ ამ დღეს და თავიანთ მოქმედებით შეიტანონ წვლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროლეტარიატის საქმიანობაში. ფრონტის „პროლეტარული დღის“ მომწყობი კომისიის მოხსენებიდან გამოიკვია, რომ ყველა რაც შესაძლებელი იყო ამ დღის მოწყობისათვის ყოველი ღონე იხმარა კომისიამ, რომ შეესრულებინა. დამტკიცდა სხვა და სხვა მოწოდებები, როგორც პლაკატებით, ფურცლებით, ისე განცხადებებით ადგილობრივ ქურხალ გაზეთებში. აგრეთვე ამ დღისთვის საგანგებოთ გამოვებულ იქნა ქურხალი „მუშათა ცხოვრება“, რომელიც იყიდება დაკლებულ ფასში სამი მანეთის მაგიერ ორ მანეთად; კომისიის სურვილი ქონდა გამოეშვა ქურხალი სამ ენაზე. ქართულათ, რუსულათ და სომხურათ, მაგრამ, საშუაბაროთ, მხოლოდ ორ ენაზე: ქართულათ და რუსულათ, რა-შეიც ბრალი უღვეთ კავშირებში მომუშავე სომხ ამხანაგებს, რომ თავის დროზე ვერ მიაწოდეს მასალები.

შესამე კითხვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

მეოთხე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს გიკი, რომელიც ამოხს, რომ შრომის ბირჯის ამ ბოლო დროს 4.000 უმუშევარი ჩაეწერა. ამათვან საშუაობზე დავეყენო მხოლოდ 14 პროცენტი; უმთავრესათ მუშები ეგზავნებთ ერობებს პროვინციებში სამუშაოთ. რაც შეეხება შრომის ბირჯის მოქმედებას, ის ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უმუშევრების გაკორეზული მდგომარეობა შეამსუბუქოს: ვალო უფასო საჩივები, სასადილოები და აგრეთვე მოაწყო წიგნების საკაზმავე სახელოსნო, რომელიც ამ ბოლო დროს კარგ შემოსავალს იძლევა; განზრახულია გაიხსნას სხვა და სხვა დარგის სახელოსნოები, სადაც იმუშავენ უმუშევრები.

ამას გარდა ვაზაფხულზე უნდა დაიმუშაონ თავისუფალი მიწა, სადაც მოიყვანენ ბოსტნეულობას და სხვა შემოსავლიან მცენარეებს მოწყობილია სახალხო კინო-თეატრიც, რომელმაც უკვე თავისი მოქმედება გადაიტანა ცენტრიდან პერიფერიებში.

ყველა შემთხვევაში მთავრობის შრომის ბირჯის საქმიანობას ხელს უწყობს ფულის კრიზისი, ამისათვის შრომის ბირჯე მიმართა ქალაქის თვითმმართველობას მიიღოს ის თავის მფარველობის ქვეშ, ამ განცხადებას ქალაქის თვითმმართველობა შეხვდა თანაგრძნობით და იმედი, რომ ყველა დაწყებული საქმეები უმუშევრების სასარგებლოდ დაგვირგვინდება. მოხსენებელი აღნიშნავს, რომ პროვასიონალური კავშირების საბჭო არ აქცევს სათანადო ყურადღებას შრომის ბირჯის საქმიანობას, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს.

შეკითხებიდან გამოიკვია, რომ შრომის სამინისტროს განზრახული აქვს ახლო მომავლში დაარსოს საოლქო შრომის ბირჯა, რომელიც შეაკავშირებს მთელ რესპუბლიკის ბირჯებს.

არსებითათ მოხსენებას შესახებ კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისთვის. კენამე შემოიტანა განცხადება გაანთავისუფლონ სტატიფო პალატის წევრობიდან. განცხადება მიღებულ იქნა. აბდუშელიშვილი აცხადებს,



